ეროვნული ბიბლიოთეკა

1899 სექტემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ჭრიჭინა და ბუხარი ლექსი ზეზვასი 3
II დათა—ამბავი გ. ბოკერიასი 5
III ბიძია სვიმონი ფრანგულიდან ან. წ—სა. 14
IV სანთელი და ფარვანა ლექსი მ. ჯელაშვილისა. 21
V უგულო კაცი რუსულიდან პავლე ხუტიშვილისა 27
VI ჭინჭველები (რუსულიდან.) ან. წერეთლისა 37
VII მაიმუნი კაპუცინი ილიკოსი. 41
VIII ჭკვიანი ცხენი (რუსულიდან). ან. წ—სა 44
IX გუგული (რუსულიდან) მისგანვე 49
X ბელურა ტურგენევისა თარ. მისგანვე 48
XI სახუმარო გასართობი. 50
XII წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები გამოცანები, რებუსი და სხვა 52

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

„ზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჭ.

№ IX

წელიწადი მეათე

ტფილისი

სტამბა ტ. მ. როტინიანცისა || Тип. Т. М. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.

1899.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го Сентября 1899 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრიჭინა და გუხარი.

ზემ გაწირა ჩვენი მხარე:
ცივა... ჰყინავს, როცა უნდა.
და მდელოსაც მრავალ-ფერი
სამოსელი გაუხუნდა.
ბევრის ბუდე აიწეწა;
ბევრის ბინა აიშალა;
ბევრი ზამთარს მოერიდა;
ბევრიც აქვე დაიმალა.
უნაღვლელი ჭრიჭინაც კი
იქით ეცა, აქეთ ეცა
და როგორღაც, თავის ბედათ
ბუხრის ძირში მიებეცა!
თავ მოდრეკით შეეეედრა:
შენ თუ რასმე მიშველიო,
თორემ სული ხორცს ეყრება,
და მიქრება სანთელიო!
ბუხარმაც არ დაიშურა
მისთვის ერთი ბეწო ბინა:
შეიხიზნა... სათხოვარი
სიტყვა ალარ ათქმევინა!..
დრო გამოხდა. ჭრიჭინამაც
ჯალაბობით გაიხარა;
ბუხრის თავიც ხელში იგდო,
ხერელი ხერელზე გამოთხარა!
არ იკმარა!.. წვრილფეხობა
მთელს ოთახში გამოჰფინა
და უმსგავსო ჭრიჭინითა

1937.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგმურებს ბევრი რამ აწყინა'..
გამწარებულ სახლის პატრონს
დარჩომია ეს იღონოს:
ძველს წერაქვი დაუშინოს,
სხვა ახალი ააშენოს...

ზეზვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა თ ა.

I.

აისის დილა იყო, ნაზი, წყნარი; ათას გვარი შვენიერებით შემკული. ბუნების სიტურფესა და შვენიერებას ყოველ არსებაზე კეთილათ ემოქმედნა, რის გამო ყოველ სულდგმულს სურდა, რითაც შეეძლო, თავისი სიხარული და აღტაცება სავსებით გამოესატა!.. ბულბული მაისის ვარდს სირინოზებრ დარაკრაკებდა!.. ტყეში კურდღელი, უკანაფეხზე დამდგარი, წინა ფეხებით დიპლიპიტოს უკრავდა!.. ეზოში, მწვანე მოლზე, ჰირნათო ხარ-ხბო კუნტრუშებდა და თავის დედას ცელქობით აჯავრებდა. დედაც ხშირათ შებღავლებდა მას, თითქო არიგებდა: „არა იტკინორაო!“ ხბოც დედის დაძახებაზე შურდულივით მასთან მიიჭრებოდა, ტუჩებს ტუჩებზე მიაცაცუნებდა ნიშნათ ამბორისა და კვალად კუნტრუშ-კუნტრუშით გაჰკურცხლავდა... სოფლის სკოლის ეზოში ძალსაზი ჰატარა შეგირდები საამოთ თამაშობდენ: ზოგნი „მარულაში“ ეჯიბრებოდენ ამხანაგებს, ზოგნი კენჭაობდენ და სხვანი დიდ ცაცხვის ჩრდილ ქვეშ ერთათ, შეკრებილიყვენ ცივათ მობერილი სიოთი აჰილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰილებულ სახეს იგრილებდენ და თანაც „ელი ელას“ მღეროდენ. ერთი მათგანი იწუებდა, მეორე ცაში მისაწვდენათ მოხდენით გაჭკიოდა; და სხვანი ბანს ეუბნებოდენ. სიმღერა გაიმართა ორპირი: მწუებელი მწუებელს ეჯიბრებოდა დაწუებაში და ლექსებში, ხოლო მეწვრილე მეწვრილეს — კრიმანჭულში... ეოველსავე ამას სიამოვნებით დაჭეურებდა მათი მასწავლებელი სიმონი, რომელიც გადამდგარიეო ჰარმაღზე და მოაჯირს ხელებით დაბჯენოდა. სიმონმა რამოდენიმეჯერ სცადა თავისი ხმა მოსწავლეების ხმისათვის აეეოლებინა, მაგრამ ვეღარ მოახერხა, რადგან რამოდენიმე ხანი იეო, გულის ტკივილი ასტეხოდა და მოსვენებას არ აძლევდა: არამც თუ სიმღერა, ოდნავ ხმა მაღლა ლაპარაკიც უჭირდა; მაშინვე ხველა აუტეხებოდა, გულის ფიცარი დაუწუებდა ტკივილს და სიკვდილზე მიაეენებდა. მოსწავლეებმა კარგათ იცოდენ ეს და ნიადაგ იმის ცდაში იეენ, რომ მასწავლებლისათვის არა ეწუენინებინათ რა. მთელ კლასში ერთი და ორი თუ მოიპოვებოდა უსაქციელო ბავში, თვარა დანარჩენნი ეველანი კარგნი იეენ: ისე გაჯიბრებული იეენ სწავლაში, რომ ძნელი იეო გამოცნობა, თუ ვინ ვის ჯობნიდა ბეჯითობით... საათმა რვა დაჭკრა... მასწავლებელმა ზარის ქვეშ მდგომ ბავშს, რომელიც მოეთმენლათ ელოდა ნიშანს დარეკისას, ხელით ანიშნა... ბავშმა მსწრაფლ ხელი სტაცა ზარის ენაზე მიბმულ ბაწარს, და უცბათ გაისმა წკრიალა, მოწოდების ხმა: „მო, მო, მო, მო, მო!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეებმა თამაში შესწყვიტეს; თვალის დახამხამებაში სამ რიგათ დამწკრივდენ და იწყეს კლასში შესვლა.

მოსწავლეები თავ-თავის ალაგას დასხდენ. სიმონმა გაშალა ჟურნალი და დაიწყო მოსწავლეების სახელ-გვარების ამოკითხვა, რომ გაეგო, ვინ აკლდა და ვინ არა. აღმოჩნდა, რომ ორი მმა, გიგო და ალექსი, ჯერ კიდევ არ მოსულიყვენ.—„შეუძლია ვისმე, გაიგოს მათი ამბავი?“ იკითხა მასწავლებელმა. მსურველთ ხელი მაღლა აიშვირეს... „აბა, დათა, მიირბინე იმათ სახლში და გაიგე მიზეზი!“ უთხრა მასწავლებელმა ერთ მესამე განყოფილების შეგირდს. დათა ელვასავით გაჭქრა და ათი წამის განმავლობაში ისევ სკოლაში დაიბადა!.. უკან ქლოშინით მოსდევდენ შეშინებული გიგო და ალექსი, რომელთაც ხელ-ჰირი სულ ერთიანათ დასვრილი ჭქონდათ; თავი ძირს ჩაჭკიდეს, და ხელებს ბლუზის კალთებში ხვევდენ, რომ მასწავლებელს მათთვის არა შეემჩნია რა.

— „რათ დაიგვიანეთ, თქვე ხარძაცებო?“ შეეკითხა მასწავლებელი დაგვიანებულთ. ისინი იდგენ კარებთან გაშეშებული და არას უპასუხებდენ...

— „დათა! სად იპოვე ესენი?“ ჭკითხა სიმონმა დათას.

— „ესენი, ბატონო, გზაზე რომ დიდი ბჟოლა დგას. იმის ძირში ისხდენ და ჩამოცვინულ ძარცვლებს ჭამდენ!..“ უპასუხა დათამ. მოსწავლეებმა სიცილი დაიწყეს.

— ხომ ხედავთ, როგორ დაგცინიან ამხანაგები ცუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქციელისათვის?!. ახლა როგორ გსურთ?.. დაგსაჯოთ, თუ კვლავ ადარ ჩაიდენთ ასეთ ზარმაცობას?.. კაცი რომ არ გამომეგზავნა, დღეს ხომ უთუოთ იქ დაადამებდით?!" ალექსი და გიგო შეეხვეწენ მასწავლებელს–„ოღონდ ახლა ნუ დაგვსჯი და ეოველთვის მუეაითათ ვიქნებითო!"

სიმონმა აპატივა მათ დანაშაული; მერე უბრძანა დაებანათ ხელ-პირი, რომელიც შავი ბეოლის წვენისაგან შავათ ჰქონდათ შეღებილი... მასწავლებელმა განაგრძო გაკვეთილი... გიგო და ალექსი გავიდენ გარეთ ჰარმაღში; მივიდენ იქ, სადაც ტაშტი და წყლით სავსე თუნგი იდგა, ხელ-პირი მოიბანეს და შეიმშრალეს პირსახოცით, რომელიც იქვე, ლურსმანზე ეკიდა; შევიდენ კლასში და დასხდენ თავ-თავის ალაგას...

II.

ჯერ კიდევ პირველი გაკვეთილი არ დასრულებულიეო, და მასწავლებელმა იგრძნო საშინელი გულის წვა, არა თუ ლაპარაკი, ეოველი სულის ამოთქმა აუტანელ ტკივილს აგრძნობინებდა... თავზარ-დაცემულმა სიმონმა ბავშებს სწავლა შეაწყვეტინა, ძლივს ლოცვა წააკითხა და სახლში დაითხოვა... თვითონ ხანხალითა და წვალებით თავის ოთახში შევიდა და დაგებულ ლოგინზე ტანთგაუხდელათ დაეშვა. ძოწაფეებს ელდა ეცათ, რა დაინახეს თავისი მასწავლებელი ფერ-წასული და უზომოთ შეწუხებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი... ბოხჩებში წიგნები ჩაალაგეს, ადგენ და ფეხ-აკრეფით გარეთ გამოვიდენ... გზაზე ისინი მასწავლებლის ავათმეოფობის შესახებ ლაპარაკობდენ.

— მალიან ავათ არის! თქვა ნიკომ.

— სულ ავათმეოფობს! დაუმატა ჰეტრემ.

— „ნეტა მაცოდინა იმისთანა წამალი, რომ მასწავლებელი ახლავე მომარჩენინა იმ ოხერი ავათმეოფობისაგან!“ ინატრა ნალვლიანათ დათამ.

— ნეტავი მართლა! მიამახეს ამხანაგებმა გულმხურვალეთ, თითქო გრძნობდენ ეს ჩვენი ნატვრა ჭეშმარიტათ აგვისრულდებაო... ერთ ალაგას გზა ტუესთან ორათ იეოფოდა... დათა ტუის ბილიკს გაჰყვა ხმის ამოუღებლივ და ცოტა ხანს შემდეგ ამხანაგების თვალს მიეფარა...

— „დათა! საითკენ მიდიხარ?“ მიამახეს ამხანაგებმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს დათასგან და მეორეთ აღარ ჩაჰკითხებიან. დათამ ტუე ჩქარა გაირბინა და შორს, მეორე სოფელში კრამიტით დახურული და თეთრათ შეღებილი სახლი დაინახა; ის იეო იმ სოფლის სკოლა, რომელშიაც სიმონის ძეგობარი ლადო მასწავლებლობდა. დათა კარგათ იცნობდა ლადოს, რადგან სიმონს და ლადოს ერთმანეთ შორის დიდი მეგობრობა და ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ. დათა ისე მალე მიიჭრა ლადოს სკოლასთან, რომ ჯერ კიდევ მეორე გაკვეთილი არ გათავებულიეო; კიბეზე აირბინა და პარმადში კარების პირდაპირ გაჩერდა. ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომ შეხედა დათას, მაშინვე გაეგება და „გამარჯობა“ უთხრა, მერე სიმონის ამბავი ჰკითხა. დათამ თავი დაუკრა და არა უპასუხარა; სახე გაუფითრდა და თვალები ანკარა ცრემლებით აევსო...

— რა ამბავია, დათა, რატომ დღეს კლასში არა ხარ? შეეკითხა დათას განცვიფრებული ლადო.

— დღეს სწავლა არ იყო, მასწავლებელი ძლიერ ავათ გავიხდა. გული ასტკივდა! უპასუხა დათამ ტირილით.

— მერე, შენ ხომ ჩემთან არ გამოგგზავნა რაიმე საქმისათვის? ხელახლა შეეკითხა ლადო დათას.

— არა! მე ჩემით მოველ, რომ დღევანდელი დღე არ დამეკარგა. უპასუხა დათამ. ლადო მეტათ გააკვირა დათას საქციელმა და იმისმა სწავლის სურვილმა გული სიხარულით აუვსო

— მაშ, შენ მხოლოთ სწავლისათვის მოხველ? განუმეორა ლადომ.

— დიახ! მხოლოთ სწავლისთვის მოველ, მიუგო დათამ გონიერი თვალების გამომეტყველებით. ლადომ მოჰკიდა მას ხელი და მესამე განყოფილებაში დასვა; თითონ განაგრძო გაკვეთილი. დათა გაკვეთილს გულმოდგინეთ უგდებდა ყურს და პასუხის გებაშიაც მონაწილეობას ღებულობდა. უცხო მოწაფეები მალე გაეცნენ მას, გული გულს დაუახლოვეს და თხოვეს:—როცა ამ გვარი შემთხვევა ეჭნებოდა, კვლავ მათთან მოსულიყო და ერთათ ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლათ... მეხუთე გაკვეთილი დასრულდა. მოსწავლეები შინისაკენ გაუდგენ გზას. დათა ლადომ სადილზე მიიპატიჟა. ნასადილევს ორივემ ერთათ გასწიეს სიმონის სანახავათ. მზე ჯერ ისევ მაღლა იდგა, როცა ლადომ შეაღო სიმონის ოთახის კარები... ტახტზე გაშლილი იყო სუფთა ლოგინი, რომელშიაც ავადმყოფს ეძინა. ოთახს ანათებდა ვიწრო ფანჯარა, ფანჯარაზე მიდგმული იყო უბრალო და გადუფარებელი მაგიდა, რომელზედაც ელაგა რამოდენიმე წიგნი, საწერ-კალამი და საწერი ქაღალდები. ოთახი სადათ იყო შეჩითული; კუთხეში ამართული იყო თეთრათ შეღებილი ბუხარი, რომლის თაროზე იდგა ბატარა ლამპა და მასთან საწუმ/უმე კოლოფი. მეორე კუთხეში იდგა ორი ხის სკამი.

კარებმა ჭრიალი მოიღო; ავათმყოფმა თვალები გაახილა და, რა დაინახა თავისი გულითადი მეგობარი, ლადო, კენესითა და თანაც სიხარულით წამოიძახა:

— ლადო! შენ?! მადლობა ღმერთს, რომ გნახეო! და გაუშვირა ძას გამხდარი ხელები.

— „რა დაგემართა, შე ჯაბანო?!. რა დროს ავათყოფნაა?.. ნუ გეძინია, გამაგრდი შესძახა ლადომ სიმონს გამამხნევებელი სიტყვებით და ჩამოართვა ხელი... სიმონი მოსვენების შემდეგ უკეთ შექნილიყო, გულის ტკივილი დაწყნარებოდა, მაგრამ მწუხარებას დიდი დაღი დაეჩნია იმის ნაზ სახეზე და ნაცარივით გაესადა. ლადომ დაუწყო სიმონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობათ სასაცილო ამბების მბობა და ავათმყოფობა სულ დაავიწყა; ბოლოს მოუვა დათას ამბავსაც... დათა ამ დროს კუთხეში იდგა; მორცხობისაგან სახე გასწითლებოდა, ხოლო სიმონს კი თვალები გაუნათლა ამ კარგმა ანბავმა. ლადომ სიმონთან ივახშმა და, რადგან სიმონს არა უშავდა რა, ნავახშმევს თავის სკოლისაკენ გასწია; დათა კი იმ ღამეს არ მოშორებია თავის მასწავლებელს, და დილაზე რომ სიმონი უკეთ დაინახა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

—დათა! გუშინ სად წახველ ისე, რომ ხმა აღარ გაგვეცი! ეკითხებოდენ დილაზე ამხანაგები. დათა მოუვა მათ გუშინდელ ამბავს: აღუწერა ლადოს სკოლა, იქაური მოსწავლეები და ყოველივე, რაც რამ შეემჩნია...

III.

შუა ივნისში მოსწავლეებს გამოცდის დრო დაუდგათ. სიმონმა მოიპატიჟა ამხანაგები შეგირდების გამოსაცდელათ. მოსწავლეები დიდ ფაცაფუცში იყვენ გამოცდის დღეს!.. ყველა მათგანს ეჭირა რუსული ან ქართული წიგნი: — გავლილ მოთხრობებსა და ლექსებს იმეორებდენ, რომ გამოცდის დროს სირცხვილი არ ეჭამათ... ხან ხუმრობით ერთმანეთს ჯიბეში ქვის კენჭებს უწყობდენ —„გული ქვასავით გაგიმაგრდებაო'..“ და იცინოდენ. ბოლოს მოწაფეები სკოლაში შეიწვიეს გამოსაცდელათ... თუმცა სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონი მთელის წლის განმავლობაში ისე ვერ ასწავლიდა შეგირდებს ავათმყოფობის გამო, როგორც მას სურდა, მაგრამ შეგირდები მაინც საკმაოთ კარგათ მოემზადებინა, განსაკუთრებით ქართულ ენაში: როცა ისინი „დიმიტრი თავდადებულსა“ და „კიკოლას ნაამბობს“ თავის სიტყვებით შეენიერათ მოუთხრობდენ მასწავლებლებს და, აგრეკვე, საუკეთესო ადგილებს ჰოემებისას გრძნობით ზეპირათ მოუკვებოდენ, იმათ ეურებას არა სჯობდა რა! ჩვენი დათა კი შეუდარებელი იყო ყველა საგნებში...

შეგირდების გამოცდის შემდეგ გაიმართა სადილი!.. სტუმართ ადღეგრძელეს სიმონი, ძერე შეგირდები და ბოლოს მისი სკოლა... ნასადილევს შეჰკრეს ჰირობა, რომ დათას, როგორც საუკეთესო შეგირდს, საერთო ხარჯით სწავლა გააგრძელებინონ. ენკენისთვის დამდეგს ჰირობა უკვე შეასრულეს: დათას გიმნაზიაში დააჭერინეს ეგზამენი და კარგ ბინაზე მოათავსეს...

გ. ბოკერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძია სვიმონი

(ფრანგულიდან გადმოკეთებული).

ამ საძაგელმა ფრინველებმა შეჭამეს რაც კაი დამწიფებული ალუბალი იყო ჩვენ ბაღში, თქვა ნაღვლიანათ პატარა ნუცამ.

— რა გაუმაძღრები არიან ეგ შეჩვენებულები, დაუმატა მისმა დამ ელენემ, — ლამის ხალისი დაგვიკარგონ ბაღის მოვლისა. როგორც კი დავაპირებთ მომწიფებულ ალუბლის დაკრეფას, მაშინვე მარცვლები გაქრებიან, სულ მაგათი აემუცლობის ბრალია, რომ დაგვენატრა მწიფე მარცვლის გემის ნახვა.

ალუბლის ხის მესამე პატრონი ვანო რაღაც ფიქრებს მისცემოდა და ბოლოს ერთბაშათ წამოიძახა:

— ვიპოვე საშუალება, როგორ მოვიშოროთ თავიდან ეგ საძაგელი ფრინველები, უნდა საფთხური გავაკეთოთ.

ელენემ შეხედა ძმას და გაიცინა.

— მაგის გაკეთება ჩვენ ადრეც უნდა გვეფიქრა; უჰ, მერე რა გასართობია საფთხურის გაკეთება!

— ახლავე უნდა შევუდგეთ მაგ საქმეს, თქვა ვანომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდეთ, მოვნახოთ ჩვენი მოხუცი მებაღე, ბიძია სვიმონი.

ბიძია სვიმონი ყმაწვილების თვალში ძალიან გამოცდილი და მცოდნე მებაღე იყო.

სამივენი სირბილით გაიქცენ მებაღის სახლისკენ.

— შინა ხარ, ბიძია სვიმონ, დაიყვირა ვანომ, რომელიც დაღალულობისაგან სულს ძლივს იბრუნებდა. შეაღო თუ არა სახლის კარი, მოესმა ვიღასიც ბოხი ხმა:

— ბიძია სვიმონ!

ყმაწვილებმა გაიკასკასეს.

— შინ არა ყოფილა, თქვა ვანომ, შეიხედა თუ არა ოთახში;— მისმა კაჭკაჭმა გაგვცა ხმა.

— გაუმარჯოს მარტიას! შეჰყვირეს სამივემ.

კაჭკაჭი იჯდა გალიის თავზე, ერთ წამს გადმოხტა ძირს, ყმაწვილებს სასტიკათ გადახედა და გაიმეორა იმათი სიტყვები:

„ბიძია სვიმონ!“

— რა სასაცილოა, თქვა ჰატარა ნუცამ, თითქოს მართლა ადამიანი ლაპარაკობდეს, ყმაწვილზე უკეთესათ ლაპარაკობს.

— საუბედუროთ მაგან მხოლოთ ორი სიტყვა იცის, თქვა ვანომ— და ვერ გვეტყვის, თუ ახლა სად არის ბიძია სვიმონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, მეც, აქა ვარ, რა გნებავთ, ჩემო პაწიებო, უთხრა ბიძია სვიმონმა.

— უნდა საფთხური გაგვიკეთო, მიატანა მაშინვე ვანომ, — რადგან ფრინველები ჭამენ ჩვენ საუკეთესო ალუბალს.

— ხომ გვიშველი, ბიძია სვიმონ? თქვა ელენემ, — უნდა კი ძალიან საშიში რამ იყოს!... ვანო შენ რომ გაქვს მახინჯი „პეტრუშკა“ იმას რომ მოგვცემდე, რა კარგი იქნებოდა! უთხრა დამ ხვეწნით.

— მე კი მოგცემ, მაგრამ ხელ-ფეხი აღარა აქვს, სულ დაემტვრა.

— არა უშავსრა, ხელ-ფეხს გავუკეთებთ, ჩავაცმევთ, მოვრთავთ, გასწი, მოიტა ჩქარა.

ვანო შურდულივით გაიქცა და რამდენსამე წამს შემდეგ მოიტანა ოდესმე ბრწყინვალე „პეტრუშკა“.

— უნდა გრძელი ხელები გავუკეთოთ! თქვა ვანომ დაღალვისაგან ქაქანით.

ბიძია სვიმონმა თვალებზე სათვალეები ჩამოიცვა და დაუწყო შინჯვა „პეტრუშკას“

— ამას მე გაგიკეთებთ! პატარა სარი მაქვს ძველი მოაჯირისა და თქვენ „პეტრუშკას“ ლურსმნებით მივაჭედ ბეჭებზე.

ბიძია სვიმონმა ერთ წამს „პეტრუშკას“ გაუკეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი დიდრონი ხელები, რომ მთელ ალუბლის ხეს და-
ეჭერდა.

— რა კარგი იქნებოდა, რომ ხელები აგრე გაპარჭ-
ეული არა ჰქონოდა, თქვა პატარა ნუცამ.

— მოდი დიდრონი სახელოებიანი კაბა ჩაგაცვათ და
ქარი ფრიალს დაეწყებინებს და ამითი უფრ. დაფრთხებიან
ჩიტები, თქვა ელენემ.

პატარა ნუცას არ ეშინოდა ამ საფთხურისა, რადგან
„პეტრუშკა“ მისი მეელი ნაცნობი იყო და გულ მოდგი-
ნეთ იღებდა მონაწილეობას და რჩევასაც კი აძლევდა.

— უნდა ცოცხალს ჰგვანდეს, მაშინ ჩიტებს შეეშინ-
დებათ.

— აბა, ახლა რა ტანისამოსი ჩაგაცვათ? წამოიძახა
ელენემ.

— მაგასაც მე მოგიხერხებთ, თქვა სვიმონმა, აი, ჩემი
ძველი ხალათი, მე მაინც ალარ კამოიმადგება.

— რა კარგი აზრი მოგივიდა, ბიძიავ! დაიყვირა
ელენემ და სიხარულით ხტუნვა დაიწყო.—ჩვენო „პეტრუ-
შკავ“, რა ლამაზი იქნები! და ელენემ „პეტრუშკა“ გულში
ჩაიკრა!

— ცოტა გამხდარია, თქვა ვანომ,— უნდა გავტენოთ
რომ სქლათ გამოჩნდეს.

მართლაც ჯერ თივით გატენეს „პეტრუშკა“, მერე
ჩააცვეს ძველი, ჭრელი, ხალათი. უმაწვილებს ისეთი სიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და წივილ-კივილი აუტეხათ, რომ ამ ხმაურობაზე ფრინველები ადრევე მიიმალენ.

სად იყო ამ დროს მარტია?

კაჭკაჭი სადღაც გაჰქრა, მას არც არავინ დაეძებდა, ის ყოველთვის თავის ნებაზე მოსიარულე იყო, თავისუფლება უყვარდა; მისთვის გალია სულაც საბერობილო არ იყო: თავის ნებაზე დასეირნობდა; სადაც და როდესაც მოინდომებდა. ყმაწვილების ჟივილ-ხივილზე ის გამოვიდა ოთახიდან, ისე გაიპარა, რომ ვერავინ ნახა, ეტყობოდა ადრევე განზრახულ მიზნით მიდიოდა.

მოხუცმა მებაღემ ხელოვნურათ მორთო „ჰეტრუშკა“, აიღო ხელში კიბე და გასწია ალუბლის ხეს ქვეშ, ვანოს დახმარებით მიამაგრა ხის ერთ ტოტზე საფთხური. მერე ურჩია ყმაწვილებს: მიიმალეთ სადმე და იქიდან უთვალთვალეთო, ფრინველებს საფთხურისა შეეშინდებათ და წამსვე მოშორდებიან ალუბლის ხესო.

სვიმონი წავიდა სახლში და მიმალული ბავშები დარჩენ ბაღში.

რამდენსამე წამს სიჩუმე სუფევდა; მერე ნუცამ უთხრა ეურში ძმას:

— თითქოს რაღაც შრიალია ხეზე?

— მეც მესმის რაღაც შრიალი, თქვა ელენემ.

— არ დაიძრა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურობა მოისმოდა, თითქოს დიდი ფრინველი ტოტიდან ტოტზე დახტოდა,

— ჩვენ ალუბალს შეექცევა! უთხრა ელენემ ყურში მმას.

— ახლავე დაინახავს ჩვენ „ჰეტრუშკას“ და შეეშინდება... სუ!.. თქვა ჰატარა ნუცამ და ტუჩებზე ხელი მიაფარა.

— სუ!... გაიმეორ- ვანომ, უეურე კარგათ, უახლოვდება!

ქურდი მიჭვაროდა და კენკავდა შვენივრათ მომწიფებულ ალუბალს, მალე მიუახლოვდა კიდეც საფთხურს.

— ბიძია სვიმონ! დასძახა ბოხის ხმით მარტიამ, მერე „ჰეტრუშკას“ მხარზე ჩამოჯდა და დაუწყო მეგობრულათ ნისკარტით კორტნა. ბიძია სვიმონ? განიმეორა მან, თითქო მას ხედავდა და უხაროდა.

— ეს ჩვენი მარტია ეოფილა!..

წამოიძახეს ერთბაშათ სამივე უმაწვილებმა, გამოვარდენ თავიანთ ფარულადან გაოცებული. მერე აუტუდათ ისეთი სიცილი, რომ მარტიამ გაშტერებით, მაგრამ მედიდურათ, გადმოხედა ზემოდან.

ამ ხმაურობაზე, მოვიდა ბიძია სვიმონიც, რომ შეეტყო რა ამბავია.

ვანო სიცილით გულს ვერ იჯერებდა და მხოლოთ ხელით ანიშნებდა ხეზე მჯდომ მარტიაზე, რომელიც კორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტნიდა ახლა, „ჰეტრუშკას“ ქუდს და ეკითხა: ბიძია სვიმონ! ბიძია სვიმონ!

— აი შე შეუპოვარო ეშმაკო! უთხრა სიცილით სვიმონმა,— ჩემი სალანძი იცნო და ჰგონია რომ მე ვარ.

— მაშ ჩვენ ალუბალს ეგა ჭამს ხოლმე? შეჰკვირა ელენემ, როდესაც მოიღალა სიცილით.

— მარტიამ „ჰეტრუშკა“ მიიღო ბიძია სვიმონათ!— დაიკვირა ჰატარა ნუცამ და ეკულას ხელ-ახლათ სიცილი აუტეხათ.

— თუ მარტო ჩვენ სასაცილოთ გამოდგება, მაშ ტეუილი ეოფილა საფთხურის გაკეთება, თქვა ვანომ.

— არა, ნუ ჩამოვიღებთ, უთხრა ელენემ,— სხვა ფრინველები მაინც დაშინდებიან. ეველა ფრინველი ხომ მარტიასავით ბიძია სვიმონისგან გაწურთვნილი არ იქნება.— მარტია ჩვენია, რომ ჭამოს კიდეც ალუბალი შეერგება.

ან. წ—სა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელი და ფარვანა.

ულამისას ოთახში
სანთელი წუნარათ ბჟუტავდა,
ვით ბავშსა ეძინებოდეს,
ნელ-ნელა თვალებს ხუჭავდა.
ერთი უფერო ფარვანა,
სანთელსა დასტრიალებდა;
ვითარცა ქარში ქოლალდი,
ჭაერში დაფრიალებდა.
ზოგჯერა მიახლოვებით
სანთელსა შეეხებოდა
და რომ იგრძნობდა სიცხოველეს
უკანვე დაბრუნდებოდა.

სანთელი.

რას დამტრიალებ თავზედა,
ფარვანავ, დაუდგრომელო?
არ დაიღალე მაინცა
მთელ ღამეს, დაუცხრომელო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჩემი დარდიც მეუოფა,
გამშორდი, გამეცალეო!..

ფ ა რ ვ ა ნ ა.

ოჯ, ნუღარ მეტევი მაგასა,
სანთელო, ვენაცვალეო!..
შენი ჰატივის მცემელი
ნუ თუ არ ვებრალებაო?
მე რომ ვეტრფოდე და-ძმურათ
აბა, რა ვენაღვლებაო?
ნუ სწუხარ ჩემი ფრენითა,
დაღლას არა ვგრძნობ სრულადო,
ოღონდ ვიუო შენთანა
ალერსით, მეგობრულათო.

ს ა ნ თ ე ლ ი.

მაინც რას ელი ჩემგანა,
დაუღალავი ფრენითო?

ფ ა რ ვ ა ნ ა.

უველაფერს ვეტევი, ოღონდ
მკითხევი ტკბილის ენითო.
შენსავით მოკლე დღისა ვარ,
დღეები დავითვალეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მგონია, თუ კიდევ
გამითენდება „ხვალეო“,
ამიტომ მინდა შენისა
შუქითა გავიხარეო,
სინათლე მიუვარს, რა ვუყო,
შენ ჩემო მეგობარეო!

სანთელი.

შენ რომ სინათლე გიუვარდეს
თავს რაზე დაიტუქვებო?
წახვალ და ჰეჰელასავით,
ბუნებით გაიხარებო!
თავსა იკვებავს მთელი დღე
მინდორზე ყვავილებითო,
არცა სიცოცხლეს ატარებს
შენსავით დატუქვებითო.

ფარვანა.

ვაჭ, ჩემ სიცოცხლეს უძწეოს,
ცხოვრებას უგემურსაო!
ნეტაი შენი სიტუქები
არა მსმენოდა ეურსაო!
როგორ მადარებ ჰეჰელას,
აგრემცა გენაცვლებიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გეჯავრები ძალიან
მითხარი, გაგეცლებიო!

ს ა ნ თ ე ლ ი.

რეებსა ბოდავ, ფარვანავ,
რითა ხარ საჯავრელიო,
ჰირიქით მებრალები, რომ
ეოფილხარ უფიქრელიო!
რითა ჯობიხარ ჰეჰელას,
ცხოვრებით გამწარებული?
მაგრამ ჰეჰელა ევავილთა
შორის არს გალაღებული.

ფ ა რ ვ ა ნ ა.

ეჰ, ვერ მიმიხვდი, დობილო,
რითაც მე გული მიწუხსო;
ეური მათხოვე გადმოგცემ
ჩემსა გულისა ჰასუხსო:
შემცდარი არის ჰეჰელა,
დღეს იას შეტრფის, ხვალე ვარდს
და ამ სახითა ვერავის
გაუზიარებს გულის დარდს.
აბა, რა არის, იმისი
თავისუფალი ფრენაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქთა ხორაა, სულელი,
მომცდარი, კუჭის მონაო.
უხასიათო ჰეჰელას
დაათრობს ყვავილებიო,
მაშინ იჭერენ მინდორზე
ბავშები, ემაწვილებიო.
რაა ის თავისუფლება,
რასაც მოელის ტყვეობა?
ჯობია სულ არ მეღირსოს
ამ გვარი კეთილ-დღეობა.
ასეთი თავისუფლება.
სულდგმულისათვის მნელია;
„რაღაა იგი სიცოცხლე,
რასაცა ახლავს ბნელია?“
მებრალვი, ჩემო მნათობო,
რომ ცეცხლი გეკიდებაო!
და შენი საცოდაობით
ჩემი გულიცა ჰკვდებაო!
მეც მინდა შენთან ვიტანჯო,
შენის ცეცხლითა ვიწოდე,
მინამ არ გიხსნი ტანჯვისგან
არ მოგშორდები იცოდე!
ეგებ ვეღირსოთ როგორმე
მოვესწროთ გათენებასო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ კი ვიკრძნობთ ორივე
სიამით დასვენებასო;
თუ არა, სულის მშვიდობავ,
გაქარწყალდება ყველაო:
დავრჩებით უბედურები,
ესღაა თავის შველაო.
როდესაც გნახავ, სულიკო,
სიკვდილათ მიიხრწნებიო,
ჩაგეკონები ცეცხლის გულს,
მეც შენთან დავიწვებიო!
დიაღ, სანთელო, ეს არის
ჩემი წადილი გულისო;
ან განთიადი, ან მსხვერპლი,
ერთგული სიყვარულისო!...

მ. ლელაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უგულო კაცი.

(რუსულიდან)

I.

ვეყანაზე ერთი კაცი ცხოვრებდა, რომელსაც სახელათ სილოვანი ერქვა. გარეგნობით იგი ისეთივე იყო, როგორიც სხვა ადამიანი, მხოლოთ ერთით განირჩეოდა სხვებისაგან; სილოვანი თავის სიცოცხლეში არც ტიროდა, არც იღიმებოდა, არც იცინოდა და როდესაც რასმე ცუდ საქმეს ჩადიოდა, არც წითლდებოდა. ერთი სიტყვით სილოვანს გული არა ჰქონდა, ასე ცხოვრებდა სილოვანი ოცდახუთ წლამდის. ბოლოს მან მოინდომა, გამხდარიყო ყველა ადამიანის მსგავსი, უნდოდა სხვებსავით შეძლებოდა სიცილიც და ტირილიც. თუმცა მას გაგონილი ჰქონდა, რომ ადამიანისთვის, გულის კანკალი ძლიერ ძნელია და ყოფილა შემთხვევა, რომ კაცი მის გამო მომკვდარიყოს კიდეც, მაგრამ ძალიან უნდოდა რომ იმასაც ეგრძნო ერთხელ მაინც გულის ცემა. ბოლოს სილოვანი ერთ ბერიკაცთან წავიდა, რომელიც მაღალ მთაზე ცხოვრებდა და წმინდანათ ითვლებოდა. ის ერბოს და ყველს აკეთებდა. როდესაც სილოვანი მივიდა ბერიკაცთან, იგი თავის ქოხის კარებთან იჯდა. სილოვანმა უამბო მას თავისი თავგადასავალი:

— თუმცა მე კაცსა ვგევარ, მაგრამ ქვის გული კი მაქვს, მითხარ, რაექნა, რომ დაევმსგავსო ყველა ადამიანს? მე ხალხთა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ძლიერ მოწყენილათ ეცხოვრებ. არ შეგიძლიან, მკერდში გულ-ლი ჩამიდო?

— არა,—უპასუხა ბერი-კაცმა, მე არ შემიძლია გულის მოცემა, მაგრამ შემიძლია შენი სურვილისამებრ, რითაც გინდა, გაქციო, და თუ შენ იცხოვრებ პატიოსნათ, მაშინ გული თავისთავათ მოგეცემა. აირჩიე: გინდა გაგხადო შენ ან ხელმწიფეთ, ან სწავლული, ან მდიდარ კაცათ, ან თუ გინდა უბრალო შეშის მჭრელთ.

— არა, შეშის მჭრელათ ნუ გაიხდი, უპასუხა სილოვანმა:— შეშის ჭრაში მე სიკეთეს ვერ დავთესავ.

— მაშ გინდა ხელმწიფე გახდე?—ჰკითხა ბერი-კაცმა,

— დიახ—უპასუხა სილოვანმა,—ხელმწიფე თავისს სახელმწიფოში მთელ კაცობრიობის საქმეს განაგებს და შეუძლიან ბევრი სიკეთეც მოუტანოს ხალხს.—

— ხვალ, როდესაც გაიღვიძებ, ხელმწიფე იქნები, უპასუხა ბერი-კაცმა და გამოემშვიდობა.

II.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, სილოვანს ხელმწიფის სასახლეში გამოეღვიძა. იგი ფიცხლავ წამოხტა ლოგინიდან და ფანჯარასთან მივიდა. სასახლის ერთი მხრით სილოვანმა შვენიერი ბაღი დაინახა, სადაც არხეინათ ირმები დადიოდენ და ათას ნაირი ფრინველები-დაფრინავდენ. სასახლის მეორე მხრით იყო ეზო, სადაც სასახლის დარაჯი იდგა. სილოვანმა დაიწყო ტანისამოსის ჩაცმა. ამ დროს მოვარდენ მოსამსახურეები, ხელმწიფის ძვირფასი მანტია წამოასხეს და თავზე საყელო გვირგვინი დაადგეს.—ამას შემდეგ სილოვანმა ბაღში გასეირნება მოინდომა. სასახლიდან გამოვიდა თუ არა, მას დიდი სიხარულით და პატივისცემით მიეგებენ ჯარის კაცები. უკან სილოვანს დიდ-ძალი ხალხი მისდევდა.

ხელმწიფე სილოვანი ყოველ დღე დიდ სიკეთეს თესავდა თავის სამფლობელოში. მან ააგო ბევრი და ლამაზი ქალაქები და ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალდები. სილოვანმა იმოდენა ჯარს მოუყარა თავი, რომ ეფიქრათ, შეეძლო დაეპყრო თვისი მეზობელი სახელმწიფოც. წეს-რიგი სილოვანის სახელმწიფოში სხვებისთვის სამაგალითო იყო. როდესაც დიჭერდენ ავაზაკებს, ან ქურდებს, მაშინვე მათ თავს ჭრიდენ. რომ ამ ნაირათ სხვებიც გაეფთხილებინათ, მოკვეთილ თავებს ქალაქის ალაყაფის კარებზე ჰკიდებდენ. როდესაც ჯარის შესანახავათ ფული იყო საჭირო, სილოვანი გასცემდა ბრძანებას გამოერთმიათ ხალხისათვის ორ ნაირი ხარკი; თვითონ ვერა ჰხედავდა, თუ რა ვაივაგლახში იყვენ ჩავარდნილნი მისი ქვეშევრდომნი, რომელნიც აუარებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ უკანასკნელ სარჩოს ჰყიდდენ. ერთხელ სილოვანმა მოიხმო თავისი ვეზირები და ჰკითხა მათ:

— არის ვინმე ჩემზე უბედნიერესი ხელმწიფე ქვეყანაზე თუ არაო?

ვეზირებმა მოახსენეს:

„თქვენზე უბედნიერესი და სამართლიანი ხელმწიფე არც ყოფილა და არც შესაძლებელია, რომ იყოსო“.

მაგრამ რაღაცნაირათ ვეზირების მიერ პირში ქება არ ეჭაშნიკა ხელმწიფეს და გულმაც ცემა არ დაუწყო. ერთხელ საღამოს ხანზე სილოვანი სასახლიდან გამოვიდა და გაეშურა მთისკენ, სადაც ბრძენი ბერი-კაცი ცხოვრებდა. ბერი-კაცი ამ დროს თხას მოტეხილ ფეხს უხვევდა და თხა საზარლათ კიკინებდა. ბერი-კაცმა ყველაფერი მოუსმინა, რაც სილოვანმა მეფობის შესახებ უამბო და ბოლოს უთხრა:

— ნება გაქვს ხელმწიფობას თავი დაანებო და თუ გსურს, სხვათ გადაგაქცევო. სილოვანმა უპასუხა:

— მე მინდა გავხდე სწავლული, მეცნიერი კაცი. მაშინ ყველაფერს გავიგებ, რაც აქამდის არავის არ გაუგია და სწავლას სხვებსაც გადაეცემ.

— ხვალ — უპასუხა ბერიკაცმა, — შენ ისეთ ოთახში გაიღვიძებ, რომელიც წიგნებით სავსე იქმნება და თუმცა შენ სხვებზე მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეცოდინება, მაინც შენ ყოველ დღე სწავლაში იქნები გართული. და ყოველთვის ახალს რასმე გაიგებ.

III.

ასეც მოხდა. ის სახლი, რომელშიაც გამოეღვიძა სილოვანს, შედარებით დიდი არ იყო და მოსამსახურეებიც იმდენი არა ჰყავდა, რამდენიც წინათ, ხელმწიფობის დროს. მოსამსახურეები ალაგებდენ სილოვანის სახლს, ამზადებდენ საჭმელს და მწერლები კი აწვდიდენ სილოვანს წიგნებს, რომლებიც მაღლა თაროებზე ელაგა და სწერდენ, რასაც სილოვანი უბრძანებდა. დრო გამოშვებით სილოვანი სხვა და სხვა ქვეყნებში დადიოდა ქვეყნების შესასწავლათ და იმის გასაგებათ, თუ სად და რა ადგილებში პოულობენ ნახშირს, რკინას და ოქროს. აგრეთვე იგი მოგზაურობდა დიდ მდინარებზე, ზღვებზე, აკვირდებოდა და სწავლობდა როგორ ცხოვრებენ წყალში თევზები და რა ხდება ზღვის ძირას. სილოვანი ხშირათ ჰაეროსტატით დაფრინავდა, შინჯავდა ცას, ღრუბლებს და სწავლობდა, საიდან ჩნდება ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი და ელვა. თავისს მწერლებს სილოვანი აწერინებდა წიგნებში ყველა ნახულს და გაგებულს. წიგნებს ჰბეჭდავდენ, ჰგზავნიდენ სხვა და სხვა ქვეყნებში და ხალხი დიდი აღტაცებით კითხულობდა. ყველას უკვირდათ, რომ სილოვანი ასეთი სწავლული კაცი შეიქმნა და ყველანი ადიდებდენ, ერთხელ სილოვანმა დაუძახა თავისს მწერლებს და ჰკითხა მათ:

—ჩემზე სწავლული კაცი არის ვინმე ქვეყნიერობაზე, თუ არა? —არა—უპასუხეს მწერლებმა,—შენზე უფრო სწავლული და ჭკვიანი არავინ ყოფილა და არც შესაძლებელია იყოს.

ამ სიტყვებმაც სრულებით არ გაახარეს სილოვანი და გულმაც ცემა არ დაუწყო.

ბოლოს მან მიაგდო თავისი წიგნები და ისევ ბერიკაციისკენ გასწია, ბერიკაცი ამ დროს, რადგანაც ზამთარი დგებოდა, თხებისთვის ბოსელს აშენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „შენ სულ კიდევ უგულო ხარ?“ ჰკითხა ბერიკაცმა სილოვანს, როდესაც იგი მიუახლოვდა ქოხს. — ახლა რა კაცათ გსურს გაქცეო?

— „მდიდარი კაცი მინდა გავხდე, — უპასუხა სილოვანმა — ისეთ კაცათ მაქცეე, რომ იმდენი ფული მქონდეს, რამდენსაც მოვისურვებ და მაშინ მე საწყალი ხალხის დიდი მოწყალე ვიქმნები და იმედია გულიც ცემას დამიწყებს.

— ხვალ შენ უმდიდრეს კაცათ შეიქნები მთელ დედამიწის ზურგზე, — უთხრა ბერიკაცმა და გამოემშვიდობა.

IV.

ესეც ასრულდა. სილოვანი გამდიდრდა. როცა სილოვანი დანგრეულ ქოხს ნახავდა, მაშინვე ჰგზავნიდა თავისს მოსამსახურეებს მის გასაკეთებლათ. ან თუ ვისმე ფეხ-შიშველა კაცს მოჰკრავდა თვალს, უბრძანებდა შეეკერათ მისთვინ ფეხ-საცმელი. ან თუ ვისმე ტანისამოსი აკლდა-ყველას აცმევდა; მათხოვრებსაც დიდ-ძალ ოქრო ვერცხლს უწყალობებდა ხოლმე. სილოვანი ყოველ დღე ეტლით დადიოდა და საწყალ ხალხს წყალობას აწოდებდა. ყველგან აქებდენ და მადლობას უხდიდენ მას, მაგრამ სილოვანი არც ახლა გრძნობდა სიხარულს.

დადგა დიდი შიმშილობა. სილოვანთან ყოველ დღე და ღამე მოდიოდა ხალხი და ჰთხოვდა მას მოწყალებას. იგი არავის უარს არ ეუბნებოდა: სილოვანის მოსამსახურეები დაუსვენებლათ ურიგებდენ მოწყალებას. ერთ დროს სილივანმა ჰკითხა ხალხს:

— ჩემზე უფრო მოწყალე კაცი ქვეყნიერობაზე არის ვინმე, თუ არა? ყველამ უპასუხეს: — „შენზე მოწყალე კაცი არა ყოფილა და არც შესაძლებელია იყოს სადმე ქვეყანაზეო. მაშინ სილოვანმა მკერდზე ხელი მიიდო იმის შესატყობლათ, მიცემს გული თუ არა. მაგრამ გული მას სრულებით არ უცემდა. ბოლოს სილოვანმა აიღო დანარჩენი ოქრო, გადაჰყარა ზღვაში და ისევ ბერიკაცს მიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერი კაცი ამ დროს საწყალ ქვრივს რძეს აძლევდა. დიდი ხანი არ იყო, რ:ც ამ ქვრივს ქმარი მოჰკდომოდა. ხუთი ობოლი დარჩენოდა და მათი აღზრდა ძლიერ ძნელი იყო. ბერი-კაცს პირზე ღიმი უქროდა, ქვრივს კი თვალებში ცრემლები მოსდიოდა. ბერი-კაცმა დაინახა თუ არა სილოვანი, ჰკითხა:

— უ:ოთ შენ ფული გამოგლეეია?

— არა, უპასუხა სილოვანმა, ფული კიდევ ბევრი დამრჩა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მე მაინც გული არა მაქვს.

— იქნება შენ შეშის მჭრელობა გსურს? —ჰკითხა ბერიკაცმა.

— ძალიან კარგი, ვცდი მაგასაც. —უპასუხა სილოვანმა;

— მაშ შენ ხვალ დილით გამოგეღვიძება ერთ მიგდებულ ქოხში,—უთხრა ბერიკაცმა,-შენი ამხანაგი შენკენ ჩამოიელის და ერთათ შეშის საჭრელათ წახვალთ ტყეში. კარებს უკან შენ იპოვი ციცას, კიდობანში კი შავი პურის ნატეხს, უთხრა ბერიკაცმა და გამოემშვიდობა.

V.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ბერი-კაცმა იწინასწარმეტყველა. როცა სილოვანს დილით ქოხში გამოეღვიძა, დაინახა, რომ დილა ცივი და ბურუსიანი იყო. ადგა, ჩაიცვა ძველი ტანისამოსი, რომელიც იქვე ლურსმანზე ეკიდა, გააჩაღა ბუხარი და ბოლოს პურიც მოშივდა. მოაგონდა, რომ კიდობანში პატარა პურის ნატეხი უნდა ყოფილიყო. დანაყრდა და დაუწყო ლოდინი თავის ამხანაგს. ბოლოს ვილამაც ფანჯარაში დაარაკუნა, ეს იყო ამხანაგი, რომელსაც სილოვანი მოელოდა. სილოვ-ნმა აიღო ცული და ორივე ერთათ ტყეში შეშის საჭრელათ წავიდენ. შუადღემდე ჭრიდენ შეშას. ბოლოს სილოვანმა დაინახა მომავალი პატარა ქალი. ეს იყო მისი ამხანაგის ქალი— შვილი, რომელსაც ყოველ დღე თავის მამისთვის სადილი მოჰქონდა ხოლმე. ქალი მიესალმა სილოვანს. ბოლოს გახსნა შეკრული პარკი და გადმოალაგა სადილი. მამა იქვე ქალთან დაჯდა და სადილს შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „შენ ვინ მოგიტანს სადილს?“ ჰკითხა პატარა გოგომ სილოვანს.

— არავინ,—უპასუხა სილოვანმა.

— განა შენ მშობლები ან ამხანაგები არა გყვანან?

— არა,—უპასუხა სილოვანმა.

ქალმა ჯერ შებრალებით შეხედა სილოვანს და მერე მამას. მამა მიხვდა ქალის აზრს და ამხანაგს გაუყო სადილი. მეორე დღეს ეს პატარა ქალი უფრო ადრე მოვიდა და, რომ მამას არ დაენახა სილოვანს ჯიბეში პატარა პურის ნაჭერი ჩაუდო, რომელიც დედამ სილოვანისთვის გამოატანა. სილოვანმა შეხედა თუ არა ქალს, თავის სიცოცხლეში პირველათ გაიღიმა.

VI.

ეს ქალი ყოველ დღე მოდიოდა ტყეში და მოჰქონდა სადილი სილოვანისთვის და მამისთვისაც. ქალმა დედას ყველაფერი უამბო საწყალ შეშის მჭრელზე, რომლისთვისაც სადილი არავის არ მოჰქონდა. ამიტომ დედამ შეიბრალა იგი და მისთვისაც ამზადებდა ხოლმე სადილს. ერთი კვირის მუშაობას შემდეგ სილოვანი და მისი ამხანაგი ტყის პატრონთან ფულის მისაღებათ წავიდენ. მას აქეთ სილოვანმა თავისი ოფლით მოგებული ფულით დაიწყო თავის რჩენა. შემდეგ აღარც ქალს მოჰქონდა სილოვანისთვის სადილი, მამისთვის კი ყოველ დღე მოჰქონდა. სანამ სილოვანი და მისი ამხანაგი სადილს შეექცეოდენ, ქალი ხშირათ უამბობდა მათ სხვა და სხვა ამბებს, რაც კი სოფელში და სახლში ხდებოდა. ერთხელ სილოვანი, მუშაობას შემდეგ, შინისკენ მიდიოდა. უცბათ მოესმა, რომ ვილაც კვნესოდა. სილოვანი შედგა, დაუგდო ყური, მიიარ-მოიარა და ერთი კაცი ნახა, რომელსაც თურმე ფეხი მოეჭრა. ფეხიდან სისხლი შადრევანსავათ მოდიოდა. სილოვანს მოაგონდა ის დრო, როცა იგი სწავლული იყო, იმას წიგნებში წაკითხული ჰქონდა, თუ რა და რა ბალახი არჩენს ჭრილობას და წავიდა ბალახის საპოვნელათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს არ მოუნდა წასვლა; მალე გამკურნებელი ბალახი იპოვა, დაადვა ჭრილობას, შემოიგლიჯა კალთა და ჭრილობა შეუხვია. მერე შეისვა მხარზე და თავის სახლში წაიყვანა. შინ რომ მიიყვანა, დააწვინა თავის ლოგინზე და ვახშამი მიუტანა. ეს უცხო კაცი ცოტათ გონზე მოვიდა, აღარ კვნესოდა და ბოლოს უთხრა სილოვანს, რომ მეც შეშის მჭრელი ვარო და როდესაც შეშას ვჭრიდი, უეცრათ ცული ფეხში მომხვედა და გავიჭერიო.

— მაშ თუ აგრეა, უპასუხა სილოვანმა, დარჩი ჩემთან სანამ ფეხი მოგირჩება. ასე ცხოვრობდა დაჭრილი შეშის მჭრელი სილოვანთან. ყოველ დღე, დილითა და საღამოობით სილოვანი უცვლიდა მას წამალს და უხვევდა ჭრილობას. შეშის მჭრელი მალე სრულებით განიკურნა ჭრილობისაგან და ბოლოს მოშორდა კიდეც სილოვანს სილოვანს არ უნდოდა მისი გაშვება, მაგრამ იმ შეშის მჭრელსაც არ უნდოდა, რომ მის გარ სილოვანი საქმეს მომცდარიყო.

ამ ამბავს შემდეგ ყველგან ხმა გავარდა, რომ სილოვანს მკურნალობა შეუძლიანო. ყოველ დღე მასთან მოდიოდენ ურიცხვნი ავათმყოფნი რჩევისა და წამლობისათვის. სილოვანი მოვიდოდა მუშაობიდან თუ არა, ჰხედავდა, რომ მთელი ბრბო ხალხისა კარების წინ უცდიდა მას. სილოვანი წამლის ფულს არავისგან არ იღებდა, პირიქით ხშირათ თითონვე აჭმევდა, ასმევდა ხოლმე ავათმყოფებს და ზოგს თავის სახლშივე ტოვებდა საცხოვრებლათ, თუ კი ჰხედავდა, რომ ავათმყოფი ცუდ მდგომარეობაში იყო. თავის საქმესაც სილოვანი უყურადღებოთ არა ტოვებდა. ყოველ დღე ამხანაგთან ერთათ მუშაობდა, სადილათ კი უცდიდა ხოლმე იმ ქალს, რომელსაც მუდამ საჭმელი მოჰქონდა. ერთხელ ეს ქალი რაღაც მიზეზისა გამო არ მოვიდა ტყეში და არც სადილი მოიტანა. სილოვანმა ჰკითხა თავის ამხანაგს, რა მიზეზია, რომ შენი ქალი არ მოვიდაო.

— „ავათ გახდა,—უპასუხა ამხანაგმა,— როდისმე მოდი და ნახეო. გავიდა ერთი კვირა. ქალი არ მოდიოდა. შეშის მჭრელებს სადილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლიდან დილითვე მიჰქონდათ ხოლმე. სილოვანი ღლითი მუშაობდა, საღამობით კი არჩენდა ავათმყოფებს, ასე რომ დრო არა ჰქონდა, რომ ის ავათმყოფი ქალი ენახა. ერთხელ უქმე დღეს სილოვანი ქალის სანახავათ წავიდა, როცა სახლში შევიდა, ნახა, რომ ავათმყოფი ქალი ფერ-მკრთალი და გამხდარი ტახტზე იწვა, დედა უელიდა, ეალერსებოდა, ქალი კი სულ იღიმებოდა. როდესაც ქალმა სილოვანი დაინახა, გაიღიმა და მიაწოდა მას თავისი გამხდარი და გაყვითლებული ხელები. სილოვანს აუკანკალდა ტუჩები და თავის სიცოცხლეში პირველათ გადმოცვივდა თვალებიდან ცრემლები.

VII

გავიდა თვე. სილოვანი უქმე დღეებში მიდიოდა ამ ქალთან და წამლობდა მას. ქალი ცოტ-ცოტათ რჩებოდა ავათმყოფობისაგან. ერთხელ შუადღისას, როცა სილოვანი და მისი ამხანაგი მუშაობას შემდეგ ისვენებდენ, უცბათ დაინახეს მათთან მომავალი ქალი, რომელიც სისუსტის გამო ხის ტოტებს ებღაუჭებოდა რომ არ წაქცეულიყო. სილოვანს ძლიერ იამა იმ ქალის დანახვა, სიხარულით მიეგება, მიესალმა და უეცრათ იგრძნო, რომ ამ დროს ფერდში რაღამაც ნძრევა დაუწყო. სილოვანი მიჰხედა, რომ ფერდში მას გული უცემდა.

VIII.

ამ დღიდან მოკიდებული სილოვანს ისე უცემდა გული, როგორც სხვებს. ხშირათ მოხდებოდა, რომ იგი ან ტიროდა, ან იცინოდა, ან უხაროდა რამე და ისე კარგათ ცხოვრებდა ქვეყანაზე, რომ ამ ტკბილ ცხოვრებას თავის სიცოცხლეში არაფერზე არ გაცვლიდა.

ერთხელ სილოვანს მოაგონდა ბრძენი მოხუცი და მისი ნახვა მოისურვა. როდესაც სილოვანი მოხუცთან მივიდა, ნახა, რომ იგი ქვრივის შვილებს ასწავლიდა, თუ როგორ უნდა მოეწველათ საქონელი და როგორ უნდა მზადდებოდეს ყველი და ერბო. ბერიკაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილოვანი რომ დაინახა, დაუყვირა: — შენ მაინც კიდევ გული არა გაქვს?

— მაქვს, — უპასუხა სიხარულით აღსავსე სილოვანმა, — მაგრამ მე ერთი რამე უნდა გკითხო შენ.

— ბრძანე, — უპასუხა ბერი-კაცმა.

— რაზეა დამოკიდებული, ჰკითხა სილოვანმა, — როდესაც მე ხელმწიფე ვიყავი, ვემსახურებოდი ხალხს, როდესაც მდიდარი ვიყავ, ვეშველებოდი საწყლებს, ან როდესაც ბრძენი ვიყავ, ვასწავლიდი ხალხს, რატომ მაშინ არავის არ ვუყვარდი და გულიც არა მქონდა, ისე როგორც ახლა, როდესაც მე სიკეთეს არავის არ ვუშვრები, მაგრამ მაინც სუყველანი მშველიან? რა მიზეზია, რომ მე ახლა სუყველანი მიყვარს და მეც სუყველას ვუყვარვარ და ამას გარდა გულიც მიცემს?

მოხუცი ჩაფიქრდა და ბოლოს თქვა:

— ეს აი რაზეა დამოკიდებული: როდესაც ხელმწიფე იყავ, სწავლული კაცი და ბრძენი, იმ დროს შენ ამპარტავანი იყავი. შენ მაშინ ფიქრობდი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ შენ უმთავრესი არ იცოდი — ეს იყო ხალხის ერთმანეთ შორის სიყვარული.

პაულ ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ ი ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი.

(რუსულიდან).

ერთ შვენიერ ბაღში იდგა მრავალი ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ალუბალი; ხეები დატვირთული იყო ხილით. ბაღში ცხოვრებდა მებაღე, რომელიც ყვავილებს რწყავდა, გამხმარ ტოტებს ჭრიდა და ბილიკებს ასუფთავებდა — ქვიშას უფენდა. ბაღის ახლო ურიცხვ ჭინჭველებს სორო ჰქონდათ. იძათ შეიტყვეს რომ მეზობლათ ბაღში მათი საუვარელი ხეხილებია. მთელი გუნდი ჭინჭველებისა ბაღში შევიდა, ერთ ხეზე აცოცდენ და დაუწყეს ჭამა. ჭინჭველები ისე დაესიენ და შემოეხვიენ ხეს, რომ ის მთლათ გაშავდა.

როდესაც მებაღე მიუახლოვდა ხეს, ნახა ზედ აუარებელი ჭინჭველები და აოცდა. ხე ძალიან დანანდა. დაჰირა ჭინჭველების გაგდება, მაგრამ ისინი მებაღეს დაეცენ და დაუწყეს კბენა. შეეშინდა მას და მოშორდა.

ოთველ დღე დადიოდენ ჭინჭველები იმ ხეზე. მებაღე ყველა თავის ნაცნობებს შესჩიოდა და ჰკითხავდა, როგორ მოიშოროს თავიდან ჭინჭველები, მაგრამ სანუგეშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერავინ ვერაფერი უთხრა. მხოლოთ ერთმა მოხუცმა მისცა შემდეგი რჩევა.—ძმაო, ჭინჭველებს ეჯავრებათ თამბაქოს წვენი; შენც ხეს წაუსვი თამბაქოს წვენი და მაშინ ველარ ავლენ ხეზე.

მეორე დღეს, როდესაც ჩვენი ჭინჭველები აბრძანდენ, მებაღემ ხის ძირს წაუსვა თამბაქოს წვენი.

— ახლა კი, იფიქრა მებაღემ,—ჭინჭველები ველარ დაბრუნდებიან თავიანთ სოროში და გაწყდებიან ხეზეო.

ჭინჭველები რომ კარგათ გამოძღენ, დაიწყეს ძირს ჩაძოსვლა მაგრამ დახეო უბედურებას! თავი დატუსაღებული ნახეს, ველარ წავიდოდენ სახლში. ჩამოხტომა ხიდან ვერ შეიძლეს, ვერც გადაფრინდებოდენ, რადგან ფრთები არა ჰქონდათ; როგორ უნდა ეშველათ თავისთვის? მოიყარეს ყველამ თავი ხის კენწეროზე და მოჰყვენ თათბირს (სჯა-ბაასს). რომელნიც უფრო გამოცდილნი ჭინჭველები იყვენ, კრების წინ წარდგენ და თავიანთებური ენით თქვეს: ძმებო, დაგვიგდეთ ეური, ვინც თქვენგანი უფრო გულადია, დაჯდეს გაყვითლებულ ფოთოლზე, რომელიც, ეს ეს არის, ხეს დასცვივა, და იმათთან ერთათ დაეცენ მიწაზე, მერე იმათ თამბაქოს ფოთლებზე გადონ მიწის ხიდი და ყველა ჩვენგანი გაივლის ადვილათ იმაზე. მართლაც ღონიერი ჭინჭველები დასხდენ გაყვითლებულ ფოთლებზე და იმათთან ერთათ დაეშვენ მიწაზე. მერე ამ გულადებმა დაიწყეს მიწის ზიდვა, კარგა ბლომათ დააგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვეს ზედ თამბაქოს ფოთლებზე და ისეთი კარგი ხიდი გაკეთდა, რომ ყველა ჯინჯველები ჩამოვიდენ ზემოდან თავისუფლათ. ისე შეეჩვიენ ამ ხიდით ასვლა-ჩასვლას, თითქოს არც არაფერი თამბაქოს წვენი აქ არა ყოფილაო.

მებაღე კარგათ ხედავდა ჯიანჯველების საქციელს, მაგრამ არ უშლიდა. განცვიფრებით უყურებდა და უკვირდა, როგორ ჭკვიანურათ მიჰყავდათ იმათ თავიანთი საქმე. იმავე დროს ხეც რომ ასე ფუჭდებოდა, ძალიან ენანებოდა; მებაღე სულ იმ ფიქრში იყო, როგორ მოიშოროს თავიდან ჯინჯველები.

ერთ დღეს, როდესაც ჯინჯველები დაბინავდენ ხეზე, მებაღემ ხეს ირგვლივ გაუკეთა განიერი თხრილი და შიგ მიუშვა წყალი; „ახლა კი ვეღარ დაბრუნდებიან თავიანთ სოროში, ვეღარსაით წავლენ და ამოწყდებიან, გარშემო სულ წყალია!“ იფიქრა მებაღემ.

საღამოზე ჯინჯველები ჩამოვიდენ ძირს და გაჩერდენ თხრილთან, რადგან წყალი დაუხვდათ.— „ოჰ! რა ცუდათ არის ჩვენი საქმე!“ იფიქრეს ჯინჯველებმა,—„მოგვასწრეს რაღა!? სახლში ვეღარ დავბრუნდებით!“ მერე მოიყარეს ყველამ თავი ხეს გარშემო და მოჰყვენ თათბირს, თუ როგორ გავიდენ წყალს. სამი ჯინჯველა, უფრო გამოცდილნი და ჭკვიანები, მიუახლოვდენ კრებას და უთხრეს: „ჩვენი საქმე არც ისე ცუდათ არის, რომ გული გავიტეხოთ, ნუ გეშინიანთ, ძმებო, გამხნევდით! მართალია, წყალში გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლაზე ბევრი დაირჩობა, მაგრამ ისინი ხიდათ გაედებიან და მრავალი სხვა ჭინჭველები გავლენ ზედ.. აი, თუნდ ჩვენ გიჩვენებთ მაგალითს!“

როდესაც ყველა დათანხმდა ამ წინადადებაზე, ეს სამი გულადი ჭინჭველა ყველაზე ადრე ჩავარდა წყალში და ამათ მაგალითს ბევრი სხვა მიჰყვა. ერთმანეთს შეასხდენ, და ისეთი შვენიერი ხიდი გაიმართა, რომელზედაც აუარებელი ჭინჭველი გადავიდა და სახლში დაბრუნდა. როდესაც მებაღემ დაინახა, რომ ჭინჭველებს ასე თავ განწირვით უყვართ ერთმანერთი და სასიკვდილოთ თავს არ ზოგავენ, აღარ უჭირებდა იმათ საქმეს. — აღარ დევნიდა. და სრული თავისუფლება მისცა ჭამით გული ეჯერათ და ესაზრდოებინათ თავი იმის ბაღში.

ან. წ—სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიმუნი—კაპუცინი.

სამხრეთ ბრაზილიაში, თვალთ უწვდენელ უტესელ ტყეებში, ერთ გვარი ჰატარა მაიმუნი ცხოვრობს, რომელსაც ადგილობრივი ხალხი კაის უძახის. სახით სხვა მაიმუნთაგან ძრიელ განირჩევა—ტიტველი შუბლი წაბლის ფერ თმით ისე აქვს შემოფარგლული, თითქო განგებ შემოუკრეჭიათ და დაუვარცხნიათო, რის გამოც ევროპიელთ ეს მაიმუნი კაპუცინს მიამსგავსეს.

„კაპუცინები“ უფრო უბუჩქნარო ტყეებს ეტანებიან და მთელ თავის დროს ხეებზე ატარებენ: ტოტებზე დახტიან, ღეროებზე დაძვრებიან, ხან კინწეროში მოექცევიან, ხან ხიდან ხეზე გადაეშვებიან, გადადიან და ასე უვლიან მთელ ტყეს მათგან დაჩემებულ არე მარეში, შვილებიც თან დაჰყავთ, ხან ზურგზე შეისკუპებენ, ხან იღლიაში ამოიჩრიან, ხან ტუქსავენ, ხან უალერსებენ, ხეხილზე ხილს ჭკრეფენ და სადაც ხილი არ ეგულებათ ბებერ ხეების ქერქში ჭიებს სუსნამენ, ჰირს იტკბობენ. ასე და ამგვარათ ატარებენ მთელ დღეს და ერთ წამსაც არ ისვენებენ. ხოლო შებინდდებათუ არა ხის გაბარდულ ტოტებზე აირჩევენ მოსასვენებელ ადგილს და მთელი ღამე უშფოთველათ მინავთ, ჰირს ჩამოდან მხოლოთ წუალის დასალევათ და ერთიც მაშინ, როცა მთელი ხროვა, ხუთი ან ათი მაიმუნი, სიმინდის ყანებისკენ საქურდელათ გაემგზავრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიმუნი-კაპუცინი საშინელი მიუკარებელი და ფხიზელი ცხოველია, ადამიანს ხომ მთელი დღის სავალზე გაუფთხის. ერთ ცნობის მოუვარე ევროპიელს რენგერს მაინც მოეხერხებია და შინ გაზდილი მაიმუნი-კაპუცინი ჰყავდა. ეს მაიმუნი ბევრ გვარ შემთხვევაში ნამდვილ გონიერებას იჩენდა ხოლმე, მეხსიერება და მოსაზრებაც საკვირველი ჰქონდა; ამასთანავე რაც ხანში შედიოდა, იმდენათ უფრო გამოცდილებას იძენდა. საშინელი თავის ნება ჭირვეული იყო და ისეთი მტკიცე ხასიათიც ჰქონდა, რომ არა ცხოველს არ ემორჩილებოდა, პირიქით ყველა საშუალებას ხმარობდა, ხან ეშმაკობით და ალერსით, ხან მუქარით და ძალმომრეობით ცდილობდა ყველა შინაური ცხოველების დამორჩილებას, ძაღლებს და კატებს კუდს გაუწევდა, ათრევდა, მასხარათ, აბუჩათ აიგდებდა; ქათმებს და იხვებს ბუმბულს აგლეჯდა და, რამდენათაც ეს ცხოველები უფრო ჯავრობდენ, კაპუცინი მაიმუნი იმდენათ უფრო მეტათ სიამოვნებდა, ხარხარებდა. მაგრამ თითონ კი ჭირივით ეჯავრებოდა, თუ ვინმე დაცინებდა.

ილიკო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯკვიანი ცხენი.

(რუსულიდან)

ერთ მონადირეს ჰყავდა ცხენი, რომელიც ძალიან უყვარდა; აჭმევდა თივას, ქერს და ასმევდა ახალ-ახალ წყალს. ერთხელ მონადირე შეჯდა ამ ცხენზე და წავიდა სანადიროთ ტყეში; მთელი დღე ნადირი არ შეხვედრია. ბინდისას დაღალული ჩამოვიდა ცხენიდან, დაჯდა ბალახზე დასასვენებლათ და ყველი და ჰურის საჭმელათ, რომელიც სახლიდან წამოელო. ცოტა მოშორებით ცხენი ხეს მიაბა.

როდესაც მონადირე შვენიერ ველზე გემრიელათ შეექცეოდა თავის სამხარს, გამოვარდა ხშირ ბუჩქებიდან მგელი და უკანიდან მივარდა მონადირეს, დასცა და დაახრჩო. ცხენი ხედავდა როგორ ახრჩობდა მგელი მის ჰატრონს, უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ მაგრათ იყო დაბმული და ვერა გააწყორა. დაუწყო თოკს, რომლითაც დაბმული იყო. კბილებით ჭრა.

სანამ ცხენი ღრღნიდა თოკს, მგელმა დამღრჩვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირე წაათრია თავის ბუნაგში. დარჩა მხოლოთ თოფი და სისხლში გასვრილი ტანისამოსის ნაგლეჯები.

ცხენი აშინვე გაექანა სახლში. იქ ეველას ეძინა, ჭიშკარი (ალაყაფის კარი) დაკეტილი დაუხვდა. ცხენმა კარებს ნალით დაუწყო რაკუნი, სანამ ეველა ფეხზე არ დააყენა. როდესაც გაუღეს ჭიშკარი ერთი საშინლათ დაიხვიხვინა. მაშინვე ეველა მიხვდა, რომ მონადირეს რაღაც უბედურება შემთხვევოდა. ცხენმა ისევ ჰირი გზისკენ იბრუნა და ხელ-მეორეთ დაიხვიხვინა. კაცებს უმახოდა, რომ გაჰყოლოდენ. მართლაც ეველა გაჰყვა ტყეში. ცხენმა ისინი სწორეთ იმ ადგილს მიიყვანა, სადაც მონადირეს თოფი და გასისხლიანებული ტანისამოსის ნაგლეჯები ეყარა.

ეველა შეწუხდა, გლოვობდენ მონადირის დაკარგვას, მაგრამ რას უშველიდენ. ცხენი წამოიყვანეს სახლში. დიდხანს აღარავინ ჯდებოდა მაზე. ცხენი საშინლათ ნაღვლობდა, ცოტას ჭამდა და სვამდა. ეტყობოდა, რომ მალიან წუხდა ჰატრონის დაკარგვას და იგი კარგა დიდხანს ვერ დაივიწყა.

ან. წ—სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგული

უგული ცხოვრებდა ტუეში. მან ერთ ხეზე გაიკეთა ბუდე და შიგ რვა კვერცხი დადვა. ამ რვა კვერცხიდან გამოჩეკა რვა ბარტყი, დედა მათ აჭმევდა და ასმევდა.

ერთხელ გუგული გაფრინდა საზრდოს საშოვნელათ. ამ დროს ავარდა ხაშინელი ქარი, ხეებმა დაიწყეს რხევა, ბუდე ჩამოვარდა ხიდან და დაინგრა. ალარ იცოდა გუგულმა სად დაედვა კვერცხები. დაუწყო ახლო არე მარეს თვალიერება, იქნება მზათ გაკეთებული ბუდე ვიშოვოო. მთელი არე-მარე დაათვალიერა, მაგრამ გაკეთებული ბუდე რომ ცალიერი ეოფილიეო ვერსად ნახა. ეველა ფრინველს თავისთვის გაეკეთებინა და შიგ იჯდა. მაშინ გუგულს მეტი გზა არა ჰქონდა—ბალახში მიმალა თავისი კვერცხები. მერე შეჯდა ხეზე და დაიწყო აქეთ-იქით ცქერა. ერთბაშათ გუგულმა დაინახა რომ ფრინველი გამოფრინდა თავის ბუდიდან. სწრაფათ აიღო თავისი ერთი კვერცხი და ბუდეში ჩადვა. „ჯობს ბუდეში იდვას, ვიდრე ბალახშიო“. გულში გაივლო გუგულმა. მერე მეორე ფრინველი დაინახა, რომ ბუდიდან გამოფრინდა საზრდოს მოსანახათ. გუგილმა მაშინვე აიღო მეორე კვერცხი და მას ბუდეში ჩაუდვა. ამ სახით გუგულმა ეველა თავისი კვერცხები სხვის ბუდეებში დააბინავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრინველები რომ დაბრუნდენ თავთავიანთ ბუდეებში თითო სხვისი კვერცხი დაუხვდათ. გაკვირვებით უცქერდენ ამ კვერცხებს; როდესაც გაეთავეს კვერცხების დება, მერე დაუჯდენ კვერცხებს გამოსაჩეკათ.

კვერცხებიდან რომ გამოიჩეკენ ბარტუები ეველა ფრინველს შეეძინა თითო გუგული. ფრინველებს შეუყვარდათ ჰატარა გუგულები, დიდი გულმოდგინეობით აჭმევდენ და როგორც საკუთარ შვილებს ისე უვლიდენ.

გუგულები რომ მოიზარდენ დაიწყეს ბევრი ჭამა, მათი მარჩენელნი იყვენ ჰატარა ფრინველები და საკმაო საკვებს ვერ აწოდებდენ, თავიანთ შვილებიც გამოსაკვები ჰყვანდათ, გუგულებს უნდოდათ, რომ რაც მარჩენელს საზრდო მოჰქონდა, მხოლოთ მათთვის ეოფილიეო და ერთხელ როდესაც ფრინველები საზრდოს მოსატანათ წავიდენ გუგულის ბარტუებმა გადმოუარეს მარჩენელის ბასალები. მას შემდეგ რაც კი რამ მოჰქონდათ ფრინველებს გუგულები შეექცეოდენ, ამიტომაც ისეთი ღონივრები გახდენ, რომ საკუთარი დედას ხელშიაც ასე ვერ გამოიკვებებოდენ.

დედალმა გუგულმა, რაკი ნახა, რომ მისი შვილები უფრო კარგათ იკვებებიან სხვა ფრინველების ხელში მოჰყვა ეოველთვის თავის კვერცხების დებას სხვების ბუდეში.

ამბობენ მას აქეთ გუგული ბუდეს აღარ აკეთებსო, რადგან კარგათ იცის, რომ მის შვილებს არა გაუჭირდებათრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ლ უ რ ა.

(ტურგენიევიდან).

ნადირობიდან დავბრუნდი, ბაღის ხეივანში ძოვდიოდი, ძაღლი წინ მოძიძღოდა.

უცბათ ძიღლმა დაუწყო რაღასაც მიჰარვა, თითქოს სუნი ეცა ნადირისა.

დავაცქერდი ხეივანს, დავინახე ბელურას ბასალა ეკითელ ლაშებიანი, თავ ღინღ ლიანი. საბრალო, დიდ ქარს ბუდიდან ჩამოეგდო; უმრავათ იჯდა, ახლათ შესხმული ფრთები უნუგეშოთ ჩამოეშვა.

ჩემი ძაღლი ფეხ ‿ აკრეფით უახლოვდებოდა მას, ამ დროს უცბათ ხიდან ჩამოფრინდა დედა ბელურა და ბასალას და ძაღლს შუა ქვასაებ ძირს დაეცა. აქოჩვილი, დამანჯული, გულ-დათუთქული წრიპინით ერთი ორი გადახტა, თითქოს აპირებდა მღრინავ ძაღლს შიგ პირში სცემოდა.

მშობელი იცავდა, წინ ეფარებოდა თავის საუვარელ შვილს... მისი პატარა სხეული შიშისგან მრწოდა, ხმა ეხლიჩებოდა, თითქმის აღარ ისმოდა, თავს სწირავდა შვილისთვის!

რა საოცარ ვეშაპათ უნდა ჩვენებოდა ახლა მას ეს ძაღლი! მაგრამ მაინც თავი ვერ შეიმაგრა მაღალ ტოტზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც უშიშრათ იჯდა... მშობლიურმა სიყვარულმა თავის
უნებურათ გადმოაგდო ის იქიდან.

ჩემი ტრეხორი შედგა, უკან დაიხია... ეტეობოდა
იმანაც იგრძნო ეს ძალა.

მე საჩქაროთ დავუძახე ჩემ გაოცებულ მეძებარს—და
კრძალვით გავუდექ გზას.

დიახ, ნუ გაგეცინებათ. მე მარილათაც მოკრძალებით
თავი მოვუხარე იმ ბაწია გმირს, რომელმაც ისე თავგან-
წირული სიყვარულით დაიცვა თავისი ბახალა.

სიყვარული, ვფიქრობდი მე, სიკეთილზე უძლიერესათ
მოქმედობს.—მხოლოთ სიყვარულით მოძრაობს სიცოცხ-
ლე.

ან. წ—სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო გასართოგი

ვატარა ქანას დედოფალა მზეზე დარჩა და მისი სანთლის თავი სულ ერთიანათ გადნა.

— საწუალი ჩემი დედოფალა!—წუენით წამოიძახა ქანამ და უთავო შვილი ხელში აიუვანა.—ტუილს კი არ ეუბნებოდა გუშინ დედას ექიმი, ისეთი სიცხეები დგას, რომ ადამიანს არ არგებსო!

ლილი, კარგათ გაზდილი ქალიშვილი თავის ცერს წუწნას არაოდეს არ დაუწუებს!—შენიშნა დედამ ვატარა ქალს, რომელსაც ცერი ვირში ჩაედვა.

— აბა რომელ თითს, დედიკო?—ჰკითხა ქალიშვილმა.

— ხომ იცი, ლუი, რომ დიდ-მარხვა—თავის შეკავების დროა. უთხრა დედამ მარხვაში ვატარა ვაჟს. ეოველმა ადამიანმა უნდა გამოაცხადოს, ამ მარხვის განმავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში ტკბილეულობას არა ვჭამო. შენ რომელ ტკბილეულობაზე იტუვი უარს?

— შოკოლადს აღარ დავლევ! — სწრაფვათ მიუგო ბატარა ლუიმ.

მაგრამ... საქმე იმაში იყო, რომ ლუის შოკოლადი ჭირივით ეზარებოდა და უმისოთაც არ სვამდა.

კალინო ძალიან ფაქიზი კაცი იყო.

ერთხელ მისმა მეგობარმა მიიღო მისგან უმარკო წერილი და ფულის გადახდა დაჭირდა. გახსნა წერილი და მარკა შიგნით ნახა. წერილში ეწერა:

„მარკას შიგნით ვდებ, რადგანაც შევნიშნე, რომ, როცა გარედან დააკრავ, ფოშტაში ყოველთვის ნამეტნათ სვრიანო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხური ლექსი.

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილისაგან.)

ზეცას დარეკეს ზარები.
ქრისტე დადგა ლოცვაზედა;
მლოცავია—მლოცავზედა
ქრისტე ღმერთის თაყვანზედა.
მდიდარს კაცი გაუგზავნეს:
„—შენც მობძანდი ლოცვაზედა.“
უარი შემოუთვალა.
„—გლახას დღეში სამ ფულს ვაძლევ,
ქირით ვგზავნი ლოცვაზედა!..“
საწყალი ღმერთს ეხვეწება
თავის ჭკუა და გონზედა:
„—მდიდარი კი ადღეგრძელე,
მე დამიხსენ ცოდვიდანა!“
მდიდარმა სული დალია—
კვირა ძალს საღამოზედა;
ყელზე ჯაჭვი გადააგდეს,
გადაჭიდეს ციხეზედა.
მდიდრის ცოდვით ჯაჭვი გაწყდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვარდა შარაზედა;
საჭმელათ ყვავი, ყიჭალა,
არც ყორანი მივა ზედა.
საწყალი კოჭლი გლახაკი
ღმერთს ულგა ცაში ჩოქზედა:
„—შენ მადლსა მკვდარი დაემარხოთ,
ნუ გდია შარა გზაზედა!“
ცხრაგანა თხრიდენ საფლავსა,
წერაქვს ამტერეედენ ქვაზედა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი „ბ. ბოკერიასაგან)

კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილზე სცემს მარად.

ცვარი თუმცა წვიმა არ არის მისაებ მარგებელია.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

ათას უგულო მეომარს
გულადი ორი სჯობიან,
ალალს, მწყერს, ხოხობ—კაკაბსა
არამი ქორი სჯობიან.

დარო აქვს თქმას და უთქმელობას
უდროოთ ყველა ცუდია;
უადგილოსა მართალსა
ადგილას ჭორი სჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ნ ა ნ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისაგან).

ერთი რამ არის უსულო, ბოხი ხმით მოუბარია, აწყენს წვიმა და ნოტიო, ამხიარულებს დარია; მწუხარებაში არ საქმობს, სალხინოთ მოსახმარია, ვინც რომ ამას გამოიცნობს, მეცნიერთან სადარია.

ზ მ ა

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან.)

სულ თითებში გცემ, ნანინა
ჩემო პატარა, ყმაწვილო,

ე პ ი ტ ე ზ ი ს ი.

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლე ი. ზედგინიძისაგან.)

რ—ე—თ—ა გ—ე—ვ ა—ა—ნ ე—რ—ც მ—გ—რ—ე—ა

უჯრების ამოცანა.

(წარმოდგენილი ბათომის გემნაზ. მოსწავ. ვანო რამიშვილისაგან.)

ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები რომ გამოვიდეს რომელიმე ქართული ანდაზა.



ა, ბ, ა, დ, უ, ს, პ, უ, ტ, რ, ო,
ტ, ყ, წ, ი, ე, ი, შ, თ, უ, რ,
ა, ლ, ა, ე, შ, კ, ა, ლ, ი, ს,
ო, ე, ი, ნ, ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილია ბ. ციმაკურიძისაგან).



წყლის ომმა



საკრავი ომის დასაწყებათ

10,000 მ

მინდორი ანუ?

10



ლამის მანათებელი

100 მ 10

ლოუბელთ წინამძღვარი

რჩევა—ბჭობა

1/12 წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა







№ VII VIII გამოცანებისა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი: 1) ყვერული, 2) ღვინო, 3) ნემსი.

ა ნ ა გ რ ა მ ა: ცეცხლი კომლი და ნაცარი.

შ ა რ ა დ ა: სიცილი.

რ ე ბ უ ს ი: დაბრუნდი თუ დაბრუნდები ვით ხარატული ჯარაო,
გამზდელი შენი ვაცხონე ერთგული შენი ლალაო.

გამოცანები, ანაგრამა, შარადა და რებუსი ახსნეს: თფილისში სათაოად-აზნაურო სკოლის მოსწავლემ დიმ. დეკანოზიშვილმა და ბათუმის გემნაზიის მოსწავლემ ვანო რა იშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეათე

გიმოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა